საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2026 წლის ---- ქ. თბილისი

სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 აპრილის №14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, “სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის №14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, ...) შეტანილ იქნას ცვლილებები და დადგენილებით დამტკიცებული: „სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“:

1. **მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით იდენტიფიცირებულ-რეგისტრირებული მსხვილფეხა საქონლისგან მიღებული რძე, იმ შემთხვევაში, თუ ამ მსხვილფეხა საქონლის სულადობა არ აღემატება 5 სულს;

ე) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით იდენტიფიცირებულ-რეგისტრირებული წვრილფეხა საქონლისგან მიღებული რძე, იმ შემთხვევაში, თუ ამ წვრილფეხა საქონლის სულადობა არ აღემატება 15 სულს;“

მუხლი 2.

“სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილებები“ ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.